ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. ᲞᲐ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲠᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

KOMUNISTI ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲬᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲠᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 29-Ე ᲬᲚᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1949 Წ. № 15 (8318). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ-ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ XXV ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ-ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲐᲮᲖ. Ვ. Ნ. ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲠᲝᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ 1949 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ XXV ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ-ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. (ᲛᲔ-2-3 ᲓᲐ ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Ვ. ᲒᲝᲒᲣᲐ—ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ—ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲘᲡᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ-ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ) ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ Ⲁ. ᲠᲐᲨᲐᲕᲐ, Ⲁ. ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ⲁ. ᲓᲔᲓᲘᲐᲜᲘ, Ⲁ. ᲒᲝᲒᲘᲐ, Ⲁ. ᲗᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ⲁ. ᲒᲝᲒᲣᲐ, Ⲁ. ᲗᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ⲁ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘ, Ⲁ. ᲒᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ⲁ. ᲒᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ⲁ. ᲠᲘᲩᲐᲠᲓ

ლენინ-სტალინის დიადი დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

ამხ. ჰ. ნ. პოსპელოვის მოხსენება 1949 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXV წლისთავისადმი მიძღვნილ საგზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო!

მეოთხედმა საუკუნემ განვლო იმ სამწუხარო დღიდან, რაც შეწყდა უდიდესი ადამიანის, რევოლუციის გენიის, მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გულისცემა.

იმ სამგლოვიარო დღეებში, საბჭოთა II ყრილობაზე, ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის სახელით დასდო ისტორიული ფიცი: მაღლა გვეჭიროს და წმინდათ შევინახოთ პარტიის წევრის დიადი სახელი; თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ ჩვენი პარტიის ერთიანობას; დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ჩვენი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური თანამშრომლობა, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ რესპუბლიკების კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა არმია და საბჭოთა ფლოტი; განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი.

ეს იყო ბოლშევიკური პარტიის დიადი ფიცი თავისი მასწავლებლისა და ბელადის ლენინისადმი, რომელიც საუკუნეებში იცოცხლებს. პარტია, ლენინის საქმის ღირსეული განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სასახელოდ ასრულებდა და ასრულებს ამ ფიცს. მას ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით მიჰყავს.

საბჭოების II ყრილობაზე წარმოთქმულ თავის შთამაგონებელ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ნათლად გვიჩვენა უკვდავი ლენინის სიდიადე.

„ლენინის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,—რომ მან, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა არ არის ხანგრძლივი, რომ შრომის სამეფო შეიძლება დამყარებულ იქნას თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედით აანთო მთელი მსოფლიოს მუშების და გლეხების გული. სწორედ ამით იხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა“.

ლენინის სიკვდილიდან განვლილი მეოთხედი საუკუნე—ეს არის წლები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დაუდალავი ბრძოლისა ლენინის ანდერძის განსახორციელებლად. საბჭოთა ხალხმა თავისი გმირული, თავდადებული შრომით ააგო სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს ხალხები ფაშისტური დამონებისაგან იხსნა, მთელი მშრომელი კაცობრიობის ჩაუქრობელი შუქურა, ჩირაღდანი და იმედი, მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ძალთა ურყევი ბურჯი გახდა.

სოციალიზმის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ლენინიზმის დროშა მაღლა ასწია ლენინის დიდმა თანამებრძოლმა და მისი საქმის განმგრძობმა, პარტიისა და ხალხის ბრძენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა!

(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

I. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება ლენინიზმის იდეების განხორციელებაა

ლენინმა გამოუჭედა დიადი, მძლავრი, სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოწრთობილი პარტია ბოლშევიკებისა, ახალი ტიპის პარტია, რომელმაც თავისი თავი გვიჩვენა როგორც „ჩვენი ეპოქის გოხებად, პატიოსნებამ და სინდისმა“.

ლენინ-სტალინის პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში მუშათა კლასი გამარჯვებამდე მიიყვანა, ჩვენი ხალხი სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა იმიტომ, რომ იგი შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე, რევოლუციური თეორიით, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში გადაშალა ახალი ერა, კაპიტალიზმის ნგრევის ერა, სოციალიზმის გამარჯვების ერა. პირველად გაირღვა იმპერიალიზმის ფრონტი, მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა. გაიმარჯვა სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ. მარცხი განიცადა იმპერიალიზმის ლაქიების — მემარჯვენე სოციალისტების რეფორმისტულმა თეორიებმა კაპიტალისტური წყობილების ურყევობის შესახებ.

სოციალისტურმა რევოლუციამ გვიჩვენა, თუ რა ძნიშვნელოვანი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესრულება შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს ისტორიაში პროლეტარიატის რევოლუციურმა მარქსისტულმა პარტიამ, რომელიც სათავეში ჰაუდა მოწინავე კლასს, პარტიამ, რომელმაც წარმოშვა მასების უდიდესი ენერგია დიადი მიზნის — იმპერიალიზმის ჩაგრისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების შექმნის დიადი მიზნისათვის.

ლენინი არაერთგზის მიმართავდა მარქსის ცნობილ მითითებას იმის შესახებ, რომ „ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, მაშასადამე, გაიზრდება მასის მოცულობაც, რომლის საქმესაც ეს მოქმედება წარმოადგენს“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. III, გვ. 105). ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს დებულება მარქსიზმის ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღრმა დებულებაა.

„ავამაღლოთ ყველაზე დაბალი ფენები ისტორიული შემოქმედებისათვის“— ასე ჩამოაყალიბა ლენინმა 1918 წლის დამდეგს სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. და ეს დიდი ამოცანა გადაწყვეტილი იქნა. სოციალისტური რევოლუცია, წინანდელი, ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით, ყველაზე ღრმა, ყველაზე საფუძვლიანი ისტორიული მოქმედება იყო და სწორედ ამიტომ აქცია მან ისტორიის აქტიურ შემოქმედად ათეულ მილიონობით ადამიანი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ პოლიტიკის გარეთ იდგნენ, დაჩაგრული და დაბეჩავებული იყვნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ, საუკუნეობრივი გაჭირვებითა და სოიატკით.

ლენინიზმის მტრები, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, წყეული ტროცკისტები, ზინოვიევლები, ბუხარინელები ცდილობდნენ ჩაეშალათ სოციალიზმის შენებლობა, მუშათა კლასის სული მოეწამლათ ჩვენს ქვეყანაში 'სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის მენშევიკური ურწმუნობის შხამით და საქმე მიჰყავდათ კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ.

მწყობრიდან ლენინის გამოსვლის შემდეგ, პარტიის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საბოლოოდ ჩაძოყალიბდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც დაიცვა ლენინის დიადი დროშა, დარაზმა პარტია ლენინის ანდერძის გარშემო და საბჭოთა ხალხი გაძოიყვანა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფართო გზაზე. ამ ბირთვის ხელმძღვანელი და პარტიისა და სახელმწიფოს წამყვანი ძალა გახდა ამხანაგი სტალინი. პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ლენინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და ყოველმხრივ დაამშვაჟა იგი, იდეურად შეაიარაღა ამ მოძღვრებით ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი. ამხანაგმა სტალინმა განაგრძო ლენინის საქმე და შეაქნია მთლიანი და დასრულებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, ამ მოძღვრებით შეაიარაღა პარტია და ხალხი.

ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალიზმის მთავარ მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მსხვილი სამანქანო მრეწველობა, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას მიწათმოქმედებაც. ლენინის მითითებებზე დაყრდნობით ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დებულებანი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, მისი გზებისა და მეთოდების შესახებ. ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ ინდუსტრიალიზაციის არსი მდგომარეობს ძმიმე ინდუსტრიისა და მისი გულის—მანქანათმშენებლობის განვითარებაში.

დიადი ლენინურ-სტალინური იდეა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ დაეუფლა მასებს და გადაიქცა მძლავრ მატერიალურ ძალად. საუდგამიდ შეეა ისტორიაში სტალინური ხუთწლედების მანძილზე სოციალისტური ინდუსტრიის მილიონობით მშენებელთა გმირული შრომა.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლენინი მიგვითითებდა სოციალისტური შეჯიბრების დიდ მნიშვნელობაზე.

ამხანაგმა სტალინმა სოციალისტურ შეჯიბრებას უწოდა სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი. სოციალისტური შეჯიბრების მილიონობით მოხალოვლემ, რომლებიც მოიცვა სოციალიზმის დიადი მშენებლობის ათასობა, თავისი თავი ისტორიის აქტიურ შემოქმედად იგრძნო.

უმაგალითოდ მოკლე ვადაში, 1928 წლიდან 1940 წლამდე, ესე იგი სულ 13 წლის მანძილზე, ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. სოციალიზმის ქვეყანა ტექნიკურ-ეკონომიურად საესებით დამოუკიდებელი გახდა კაპიტალისტური გარემოცვაში. ავან და მომზადებები აღმოჩნდა ყოველგვარი შემთხვევითობისათვის, აქტიური თავდაცვისათვის.

სოციალიზმის მშენებლობა ვერ დასჯერდებოდა ინდუსტრიას, მას აუცილებლად უნდა მოეცვა მიწათმოქმედებაც. პარტიას ახსოვდა ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ „სანამ ჩვენ ვცხოვრობთ ზვრილ გლეხურ ქვეყანაში, რუსეთში კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზაა, ვიდრე კომუნიზმისათვის“, იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა თვით თავისი ბუნებით წარმოშობს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას მუდამ, ყოველდღიურად, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაყრდნობოდა ორ სხვადასხვა საფუძველს—მოწინავე, მსხვილი სოციალისტური ინდუსტრიის საფუძველს და ჩამორჩენილი, წვრილ მესაკუთრული გლეხური მეურნეობის საფუძველს.

ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია. ამხანაგი სტალინი გახდა საკოლმეურნეო წყობილების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

პარტიამ შესძლო შეეცვალა ათობით მილიონი გლეხის ყოფა და აზროვნება, მოებრუნებინა ისინი სოციალიზმის გზისაკენ, დაეძლია მილიონების ჩვეულების საუკუნეობრივი ძალა. აღმოფხვრილ იქნა კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა ფესვები. მოწინავე ტექ-

ნიკით შეიარაღებულმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ განეწყვეტელი და სწრაფი განვითარების ძესაძლებლობა მიიღო. 1924 წელს მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია შეადგენდა მხოლოდ 3,1 მილიარდ ფუთს, ხოლო 1940 წელს მარცვლეულის საერთო პროდუქცია გაიზარდა 7,3 მილიარდ ფუთამდე. კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მიწათოქმედების სასაკონლო პროდუქცია.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაშიც, ისევე როგორც ძრეწველობაში, მთლიანად იჩენა თავი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობისაგან განთავისუფლებული საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარების კანონმა.

ლენინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი იყო კულტურული რევოლუციის განხორციელება. სოციალისტურმა რევოლუციამ ხალხში წარმოშვა ცოდნის უმაგალითო წყურვილი, ლტოლვა სიბნელისაკენ, კულტურისაკენ. საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ დაკმაყოფილოს ცოდნის ეს წყურვილი. სოციალიზმის მშენებლობის წლები უდიდესი კულტურული რევოლუციის წლები იყო. საბჭოთა კავშირში მიღწეულია წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობა, განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო პირველადწყებითი განათლება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გაიზარდა ყველა საფეხურის სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი. შეიქმნა ახალი, სახალხო სოციალისტური ინტელიგენცია.

პარტიამ შეასრულა ლენინის ანდერძი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესახებ. მსოფლიო ისტორიაში პირველად შეიქმნა საზოგადოებრივი წყობილება, სადაც სამდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წყობილება, რომელიც თავისუფალია წარმოების ანარქიისაგან, კრიზისებისაგან, უმუშევრობისაგან, მასების გაღატაკებისაგან, წყობილება, რომელშიც სსრ კავშირის ყველა მშრომელთათვის გახსნილია გზა შემღებული და კულტურული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

იმ დროს, როდი კაპიტალისტურმა სამყარომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის განვლილ პერიოდში რამდენჯერმე განიცადა ეკონომიური კრიზისები და დეპრესიები, ხოლო მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა ომამდელ დონეს ვერ გასცდა და მას რაღაც 20-30 პროცენტით ჩამოუვარდა, საბჭოთა კავშირის მრეწველობა 1913 წლიდან 1938 წლამდე ცხრაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო 1941 წლისათვის იგი უკვე თითქმის თორმეტჯერ გაიზარდა. სოციალისტური მრეწველობა ზრდის ტემპის მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში.

ფაშიზმზე მსოფლიო ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების სახელოვანი პარტია, პარტიისა და ხალხის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, პროლეტარიატის გენიალური სტრატეგი, ყველა დროისა და ხალხის უღიდესი მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამჟამად საბჭოთა ხალხი ახდენს მრომითი გმირობის სასწაულებს, ვადამდე ასრულებს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმას, წარმატებით სწყვეტს კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ამოცანებს. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზით მიდის, წლითი წლობით ზრდის თავისი წინსვლის ტემპს.

1948 წლის გეგმა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით შესრულებულია 106 პროცენტით. მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1948 წელს 18 პროცენტით გადაჭარბა 1940 წლის ომამდელ დონეს. დამახასიათებელია, რომ ომ-ომებში, რომლებმაც გერმანელთა ოკუპაცია განიცადეს, მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთი წლის მანძილზე 41 პროცენტით გაიზარდა. ვადამდე შესრულეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა სოციალისტური იდეუტრიის ისეთმა უმნიშვნელოვანესმა დარგებმა, როგორიცაა მეტალურგიული, ქვანახშირის, ქიმიური, მანქანათმშენებლობისა და სხვ. პარტია და მთავრობა უზრუნველყოფენ ძმიმე ინდუსტრიის გაფართოებული სოციალისტური რეკონსტრუქციის მაღალ ტემპს და ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობენ მსუბუქი მრეწველობის აღმავლობას, ჩვენს ქვეყანაში სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი და სწრაფი აღმავლობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1948 წელს წარმატებით ხდებოდა ახალი, მაღალპროდუქტიული ტექნიკის, აგრეთვე მოწინავე ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების ათვისება და დანერგვა. მოსკოველთა თაოსნობით ფართოდ გაჩაღდა ახალი პატრიოტული მოძრაობა შინარეულსრსების მობილიზაციისათვის, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა საერთო ზეგეგმითმა ეკონომიამ 1948 წელს შეადგინა 6 მილიარდ მანეთზე მეტი. მიღწეული და გადაჭარბებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე. შექმნილია აუცილებელი პირობები სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენი მრეწველობის მეტმა წილმა საწარმოებმა და დარგებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ხუთწლედი წარმოების დონის მიხედვით 4 და 3,5 წელიწადზეც კი. ეს ეს არ არის, რომ ეს პატრიოტული ვალდებულებანი ღირსეულად შესრულდება.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდმა უპირატესობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ომისაგან ყველაზე მეტად დაზარალებული სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობაში. 1948 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა, მცირე დანაკლისით, მიაღწია ომამდელი 1940 წლის დონეს, მიუხედავად გვალვისა ვოლგისპირეთში. სოფლის მეურნეობა წარმატებით წყვეტს მიწათმოქმედების კულტურისა და ტექნიკის განუწყვეტელი აღმავლობის, მინდერეების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობის ამოცანებს. ჩვენი ქვეყანა შეუდგა პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილების განხორციელებას გრანდიოზული მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის, ნათესბალიანან თესლბრუნვაზე გადასვლის და გუბურებისა და წყალსაცავების მშენებლობის შესახებ. ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული ბუნების გარდაქმნის ეს დიადი გეგმა აღფრთოვანებს კოლმეურნე გლეხობასა და ყველა მშრომელს კომუნიზმის ეპოქის შესაფერი ახალი დიადი მიზნებით.

კაპიტალიზმის ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამ წელზე მეტმა განვლო, რაც ომი დამთავრდა, მშრომელი მასების მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, უარესდება. იზრდება უმუშევრობა, ხალხის მასების სიღატაკე; გათავხედებული რეაქცია აძლიერებს მეტაევას მშრომელთა საარსებო უფლებების წინააღმდეგ. კაპიტალისტურ საყაროს არაყეს უმწვავესი კლასობრივი კონფლიქტები, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას ვერ დაუძლევია ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი წინააღმდეგობანი.

საბჭოთა კავშირში, რომელმაც უმაგალითოდ ძმიძე მსხვერპლი გაიღო ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ფულის რეფორმის გატარებისა და საკუთარათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების შედეგად, აგრეთვე ფულადი ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი უკანასკნელ წელს ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა.

სახალხო სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის უკეთესი ხარისხისათვის განიღებული სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო-სახალხო მასშტაბი მოწმობს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის დიდ ძალას. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი სამშობლოს ახალი მძლავრი აღმავლობით მეოდაენდება ლენინიზმის ყოვლისმძლე ძალა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვიმარჯვებდით, ვიმარჯვებთ და კვლავაც გვიმარჯვებთ ჩვენი უსაზღვრო რწმენა ლენინიზმისადმი. (ტაში).

II. ლენინიზმი მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლების დროშაა

დიადი ლენინური მოძღვრება სულ უფროო ღრმა გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, იდეურად იარაღებს კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელი თავისი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ლენინის გარდაცვალების დღიდან განვლილმა 25 წელმა თვალსაჩინოდ დაადასტურა ლენინიზმის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, ლენინიზმისა, რომელიც ყველა ქვეყნის მძრომელთ უჩვენებს იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისა და ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე ცხოვრების მშენებლობის ერთადერთ სწორ გზას.

იმპერიალიზმის ლენინურმა ანალიზმა, სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა განავითარა, გამომაღლავნა კაპიტალიზმის შეურეგებელი წინააღმდეგობანი, მისი სასიკვდილო წყლულები. იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმი მთლიანად ვითარდება დაღმავალი ხაზით. იმპერიალიზმი წარმოადგენს მომაკვდავ და ლპობად კაპიტალიზმს. მას მშრომელებისათვის მოაქვს უმუშევრობის, გაჭირვებისა და სიღვირის გამწვავება, პოლიტიკური რეაქციის, ეროვნული ჩაგრის გაძლიერება.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა პირველი მსოფლიო ომი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მეორე მსოფლიო ომი, არაერთგზისი ეკონომიური კრიზისები და დეპრესიები კაპიტალისტურ ქვეყნებში ორ მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში, ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობის ზრდა კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში.

„კაპიტალიზმი იღუპება; თავისი დაღუპვის დროს მას კიდევ შეუძლია წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენოს ასობით და ათასობით მილიონ ადამიანს, მაგრამ დაღუპვისაგან მისი ხსნა არავითარ ძალას არ შეუძლია. ახალი საზოგადოება, რომელიც დამყარებული იქნება მუშათა და გლეხთა კავშირზე, გარდუვალია“ ადრე თუ გვიან, იგი წლით ადრე თუ იგი წლით გვიან, იგი მოვა, და მისთვის, ამ საზოგადოებისათვის, ვუწყობთ ჩვენ ხელს მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმების შემუშავებას...“ — ამბობდა 1921 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი (თხზ., ტ. XXVII, გვ. 141).

მსოფლიო-ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ ცხადყო სამართლე ლენინის დასკვნების კაპიტალიზმის დაღუპვის და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ, დაკვანახვა კაპიტალიზმის რეფორმისტი ლაქიების გამცეცლური საზი, რომლებიც ცდილობენ იხსნან კაპიტალიზმი გარდუვალი დაღუპვისაგან.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ სახელმწიფოებზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ გამოიწვია ის, რომ კაპიტალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. ამ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის რეჟიმი დამყარდა, და ისინი სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ. ამრიგად, იმპერიალისტური ძალების მსოფლიო სისტემა გარღვეულ იქნა ახალ ადგილას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დამყარებულია მშრომელთა ხელისუფლება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელიც ახორციელებს კავშირს ჭალაჭისა და სოფლის მშრომელებთან. ფაშისტურ სახელმწიფოთა—აგრესორთა სამხედრო განადგურების ეთაგრეში ნაკეთ შეიარაღებულმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ განეწყვეტელი და სწრაფი განვითარების ძესაძლებლობა მიიღო. 1924 წელს მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია შეადგენდა მხოლოდ 3,1 მილიარდ ფუთს, ხოლო 1940 წელს მარცვლეულის საერთო პროდუქცია გაიზარდა 7,3 მილიარდ ფუთამდე. კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მიწათოქმედების სასაკონლო პროდუქცია.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაშიც, ისევე როგორც ძრეწველობაში, მთლიანად იჩენა თავი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობისაგან განთავისუფლებული საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარების კანონმა.

ლენინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი იყო კულტურული რევოლუციის განხორციელება. სოციალისტურმა რევოლუციამ ხალხში წარმოშვა ცოდნის უმაგალითო წყურვილი, ლტოლვა სიბნელისაკენ, კულტურისაკენ. საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ დაკმაყოფილოს ცოდნის ეს წყურვილი. სოციალიზმის მშენებლობის წლები უდიდესი კულტურული რევოლუციის წლები იყო. საბჭოთა კავშირში მიღწეულია წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობა, განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო პირველადწყებითი განათლება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გაიზარდა ყველა საფეხურის სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი. შეიქმნა ახალი, სახალხო სოციალისტური ინტელიგენცია.

პარტიამ შეასრულა ლენინის ანდერძი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესახებ. მსოფლიო ისტორიაში პირველად შეიქმნა საზოგადოებრივი წყობილება, სადაც სამდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წყობილება, რომელიც თავისუფალია წარმოების ანარქიისაგან, კრიზისებისაგან, უმუშევრობისაგან, მასების გაღატაკებისაგან, წყობილება, რომელშიც სსრ კავშირის ყველა მშრომელთათვის გახსნილია გზა შემღებული და კულტურული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

იმ დროს, როდი კაპიტალისტურმა სამყარომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის განვლილ პერიოდში რამდენჯერმე განიცადა ეკონომიური კრიზისები და დეპრესიები, ხოლო მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა ომამდელ დონეს ვერ გასცდა და მას რაღაც 20-30 პროცენტით ჩამოუვარდა, საბჭოთა კავშირის მრეწველობა 1913 წლიდან 1938 წლამდე ცხრაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო 1941 წლისათვის იგი უკვე თითქმის თორმეტჯერ გაიზარდა. სოციალისტური მრეწველობა ზრდის ტემპის მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში.

ფაშიზმზე მსოფლიო ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების სახელოვანი პარტია, პარტიისა და ხალხის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, პროლეტარიატის გენიალური სტრატეგი, ყველა დროისა და ხალხის უღიდესი მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამჟამად საბჭოთა ხალხი ახდენს მრომითი გმირობის სასწაულებს, ვადამდე ასრულებს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმას, წარმატებით სწყვეტს კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ამოცანებს. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზით მიდის, წლითი წლობით ზრდის თავისი წინსვლის ტემპს.

1948 წლის გეგმა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით შესრულებულია 106 პროცენტით. მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1948 წელს 18 პროცენტით გადაჭარბა 1940 წლის ომამდელ დონეს. დამახასიათებელია, რომ ომ-ომებში, რომლებმაც გერმანელთა ოკუპაცია განიცადეს, მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთი წლის მანძილზე 41 პროცენტით გაიზარდა. ვადამდე შესრულეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა სოციალისტური იდეუტრიის ისეთმა უმნიშვნელოვანესმა დარგებმა, როგორიცაა მეტალურგიული, ქვანახშირის, ქიმიური, მანქანათმშენებლობისა და სხვ. პარტია და მთავრობა უზრუნველყოფენ ძმიმე ინდუსტრიის გაფართოებული სოციალისტური რეკონსტრუქციის მაღალ ტემპს და ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობენ მსუბუქი მრეწველობის აღმავლობას, ჩვენს ქვეყანაში სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი და სწრაფი აღმავლობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1948 წელს წარმატებით ხდებოდა ახალი, მაღალპროდუქტიული ტექნიკის, აგრეთვე მოწინავე ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების ათვისება და დანერგვა. მოსკოველთა თაოსნობით ფართოდ გაჩაღდა ახალი პატრიოტული მოძრაობა შინარეულსრსების მობილიზაციისათვის, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა საერთო ზეგეგმითმა ეკონომიამ 1948 წელს შეადგინა 6 მილიარდ მანეთზე მეტი. მიღწეული და გადაჭარბებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე. შექმნილია აუცილებელი პირობები სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენი მრეწველობის მეტმა წილმა საწარმოებმა და დარგებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ხუთწლედი წარმოების დონის მიხედვით 4 და 3,5 წელიწადზეც კი. ეს ეს არ არის, რომ ეს პატრიოტული ვალდებულებანი ღირსეულად შესრულდება.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდმა უპირატესობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ომისაგან ყველაზე მეტად დაზარალებული სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობაში. 1948 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა, მცირე დანა

ლენინ-სტალინის დიადი დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

ამხ. პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება 1949 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXV წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე მოსკოვში

(გაგრძელება)

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებმაც თავიანთი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა დაკარგეს და თავიანთ გეგმებსა და ბიუჯეტებს ოკეანესგაღმელ დირიჟორებს უმორჩილებენ, ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ეცემა. მატულობს უმუშევრობა, მატულობს ინფლაცია, სიძვირე. სულ უფრო და უფრო უარესდება ამ ქვეყნების მშრომელთა მასების მდგომარეობა. გამეფებულია ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობა. ბურჟუაზიული პრესა ახლა იძულებულია იმედგაცრუებულმა აღიაროს, რომ ყბადაღებული „მარშალის გეგმის“ განხორციელების შედეგად დასავლეთი ევროპა 1952 წლისათვის ვერც ომამდელ საარსებო დონეს მიაღწევს და ვერც ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

სულ სხვა სურათია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. თუმცა ევროპის ეს ნაწილი ომისაგან გაცილებით უფრო დაზარალდა, ამ ქვეყნების მშრომელები ხედავენ, რომ სახალხო მეურნეობა და ცხოვრების დონე განუწყვეტლივ იზრდება სახალხო დემოკრატიის რეჟიმის მეოხებით. ამ ქვეყნების მშრომელებმა თავი იგრძნეს თავიანთი ბედის ბატონ-პატრონებად, ისტორიული შემოქმედების მონაწილეებად. მათ წინაშე იშლება ახალი ჰორიზონტები, სოციალიზმის ჰორიზონტები. აი რატომ არის, რომ აქ მხნედ და რწმენით შესაცქერად მომავალს.

ახალი დემოკრატიის ქვეყნების განვითარება სოციალიზმისაკენ შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოში პირველ სოციალიზმის ქვეყანასთან — საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობთა და მეგობრობით. მხოლოდ იმ პირობით, თუ მონაწილეობას მიიღებ ერთიან დემოკრატიულ ანტიიმპერიალისტურ ბანაკში საბჭოთა კავშირის მეთაურობით, შეუძლია სახალხო დემოკრატიის თვითეულ ქვეყანას ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში უზრუნველყოს თავისი დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და უშიშრება იმპერიალისტური ძალების აგრესიის წინააღმდეგ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი ერთგულება და ყოველგვარი ნაციონალიზმისადმი შეურიგებლობა წარმოადგენს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განმტკიცებისა და აყვავების საწინდარს, მათი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მთავარ გარანტიას. ნაციონალიზმი, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგია, მარქსიზმის მტერია. ბურჟუაზია ყოველთვის ცდილობდა გამოეყენებინა ნაციონალიზმი, რათა დაეშალა და შეესუსტებინა პროლეტარიატის ძალები, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა. როცა ბურჟუაზიის ძალაუფლება დამხობილია, ექსპლოატატორული კლასები და მათი აგენტურა ცდილობენ ნაციონალიზმის მოშხამვი იარაღი გამოიყენონ, რომ ძველი წყობილება აღადგინონ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის:

„ნაციონალიზმისაკენ გადახრა არის მუშათა კლასის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის შეგუება ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკისადმი... ნაციონალიზმისაკენ გადახრა ასახავს „საკუთარი“, ნაციონალური ბურჟუაზიის ცდებს.. აღადგინოს კაპიტალიზმი“.

ამჟამად იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ ნაციონალიზმი, რათა შეასუსტონ დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური ბანაკი. ბურჟუაზიის ბანაკში მცირე სიხარული კი არ გამოიწვია იმან, რომ მარქსიზმს განუდგა ტიტოს ნაციონალისტური ჯგუფი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა კომუნისტური პარტიების ინტერნაციონალისტურ ერთიან ფრონტთან. მაგრამ ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ერთიანი ანტიიმპერიალისტური ბანაკი შემჭიდროვდა და განმტკიცდა, გაძლიერდა კომუნისტური პარტიების სიფხიზლე ნაციონალიზმის მიმართ.

ლენინი აღნიშნავდა, რომ „მსოფლიოს მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობას ბოლოს და ბოლოს ბრძოლას ასწავლის და ზრდის თვით კაპიტალიზმი“.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ძლიერდება მუშათა კლასის ბრძოლა იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. დენინსა და ტერორის უძნელეს პირობებში კომუნისტური პარტიები თაობადაბადან იბრძვიან მუშათა კლასის საქმისათვის, ყველა მშრომელთა საქმისათვის. მუშათა კლასი თვისკენ იბრუნს გლეხობის, პროგრესული ინტელიგენციის ფართო ფენებს, რაზმავს მათ მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

უაღრესად ფართო მასშტაბი მიიღო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ლაპარაკობდა რა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ისტორიული ბედის შესახებ, სოციალიზმის სამოლოო გამარჯვების ისტორიული გარდუვალობის შესახებ, ლენინი წერდა: „ბრძოლის ბედი, სამოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას შეადგენენ. და, მოსახლეობის სწორედ ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში...“ (თხზ. ტ. XXVII, გვ. 416-417).

ჩინეთის მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთის ათეულ და ასეულ მილიონობით ჩაგრულ მშრომელთ რევოლუციურ ბრძოლას ასწავლის და ზრდის თვით კაპიტალიზმი. მართლაც, განა ამერიკის კაპიტალიზმი არ უწყობს ხელს ჩინეთში სამოქალაქო ომის გაჩაღებას, როცა ჩინეთის რეაქციონერთა დასაბამრებლად უდიდესი რაოდენობით გზავნის თანამედროვე საჭურველს? მიუხედაად ამისა, სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ რეაქციონერთა ულღისაგან გაათავისუფლა ჩინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, იგი აღწევს გადამწყვეტ გამარჯვებებს, ხოლო ამერიკელი იმპერიალისტების „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკა ჩინეთში ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

ჩინეთის დემოკრატიის გამარჯვებანი, აგრეთვე ვიეტნამის, მალაიის და ინდონეზიის ამბები ადასტურებენ ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უდარდელი ექსპლოატაციისა და ჩაგრის ერამ **განვლო**“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 11-ე გამოცემა, გვ. 225).

ლენინიზმის იდეების დიადი ცხოველმყოფელი ძალა თავის ღრმა გამოხატულებას პოულობს იმით, რომ იზრდებიან კომუნისტური პარტიები და მატულობს მათი გავლენა მასებში. ხალხის მასებში კომუნისტური პარტიების გავლენისა და ავტორიტეტის ზრდას ამხანაგმა სტალინმა ისტორიული განვითარების კანონი უწოდა.

თუ 20-25 წლის წინათ უცხოეთის კომუნისტური პარტიების წევრთა რაოდენობა დაახლოებით 500.000 კაცს შეადგენდა, ამჟამად უცხოეთის კომუნისტური და გაერთიანებული მუშათა პარტიები თავიანთ რიგებში 18 მილიონზე მეტ კაცს ითვლიან. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რომელშიც 1924 წელს 20 ათასი წევრი ირიცხებოდა, ამჟამად, ჩინელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლის ორი ათეული წლის შემდეგ, თავის რიგებში 3 მილიონზე მეტი კაცი ჰყავს. კომუნისტური და გაერთიანებული მუშათა პარტიები გამოდიან როგორც იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ერთგული და თანმიმდევარი მებრძოლები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლენინი წერდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „დიდაზეზებული დემოკრატიული რესპუბლიკა ნამდვილად ყველაზე გაცოფებული იმპერიალიზმის, სუსტი და მცირე ხალხების ყველაზე ურცხვი ჩაგვრისა და ჩახრჩობის ფორმა **აღმოჩნდა**“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXIII, გვ. 292). ლენინის ეს შეფასება კიდევ უფრო მეტად შეეფერება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ექსპანსიონისტურ აგრესიულ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

რეაქციის იმპერიალისტურ ბანაკს უპირისპირდება დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის ძლაგრი ბანაკი. ამ ბანაკის დასაყრდენსა და წამყვან ძალას წარმოადგენს დიდი საბჭოთა სახელმწიფო, სადაც განხორციელებულია ლენინიზმის იდეები. საბჭოთა კავშირის სტალინური საგარეო პოლიტიკა მიმართულია აგრესიის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლისაკენ, ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა ექსპანსიონისტური გეგმების მხილებისაკენ, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების დარაზმვისაკენ, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და სახალხო დემოკრატიისათვის, დიდი და მცირე ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავს ხალხთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისაგან.

საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა ცხადყოფს მის ურყევ მისწრაფებას საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ, რომელიც დამყარებული იქნება ნაკლოვანებისა და ნაკლის ვალდებულებათა ზუსტად დაცვის ბაზაზე, ყველა ხალხის სუვერენულ უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.

თავის ცნობილ პასუხში ჰ. უოლესის ღია წერილზე საბჭოთა კავშირის დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი წერდა: „...მიუხედავად ეკონომიური სისტემებისა და იდეოლოგიის განსხვავებისა, ამ სისტემების თანარსებობა და სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანაწმობიანი მშვიდობიანი მოწესრიგება არა მარტო შესაძლებელია, არამედ უთუოდ საჭიროც არის საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის“.

საბჭოთა კავშირის ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკა რაზმავს და აღაფრთოვანებს მთელ ანტიიმპერიალისტურ და დემოკრატიულ ბანაკს. ახლა მთელი ძალით დასტურდება ლენინის სიტყვები: „...ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკას იწონებს მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXV, გვ. 55).

კაპიტალისტური მონოპოლიების მკვეხარა მოციქულები ამაყად აცხადებენ, XX საუკუნე „ამერიკის საუკუნე“ იქნებაო. ვინმემ ამერიკელი პროფესორი თავის ტრაქტატში „ამერიკის მისია“ აცხადებს, რომ ამ მისიის დანიშნულება თურმე არის ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის უფლქვეშ „გაერთიანოს“ მსოფლიო... შიშის საშუალებით. „ატომური ბომბი გაერთიანებს მსოფლიოს“ — აცხადებს ოკეანესგაღმელი იმპერიალიზმის ეს თავგამოდებული იდეოლოგი.

ეს ფილოსოფია ახალი როდაა. ჰიტლერელებიც ცდილობდნენ „გაერთიანებინათ“, ესე-იგი დაემონებინათ მთელი მსოფლიო შიშის საშუალებით, მაგრამ ხალხთა მხოლოდ საყოველთაო სიძულვილი გამოიწვიეს, და საქმე მათი სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. შეუძლებელია ასეული მილიონობით ადამიანების დაშინება, რომელმაც შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის გაიღვიძეს. ცუდი არ იქნებოდა, რომ იმპერიალისტური აგრესიის უმეცარ მოციქულებსა და მათს ბატონებს ახსოვდეთ ისტორიის გაკვეთილები.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, თუ რით შეიძლება დამთავრდეს ახალი ომის გამჩაღებელთა პოლიტიკა:

„ეს შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ახალი ომის გამჩაღებელთა სამარცხვინო მარცხით. ჩერჩილმა, ახალი ომის მთავარმა გამჩაღებელმა, უკვე მიაღწია იმას, რომ დაკარგა თავისი ერისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების ნდობა. ასეთივე ბედი მოელის ომის ყველა სხვა გამჩაღებელს. ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მზარს უშვერენ მშვიდობას და ჩერჩილის მოწოდებებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება“.

ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა გვიჩვენებს, რომ XX საუკუნე არ იქნება უოლ-სტრიტის საუკუნე, იმათი საუკუნე, ვინც ცდილობს მთელი მსოფლიო „გაერთიანოს“ შიშის საშუალებით. ხალხთა გაერთიანება შეუძლია არა შიშს, არამედ დიად იდეებს. XX საუკუნე იქნება ლენინიზმის სრული გამარჯვების, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის დიადი იდეოლოგიის, ლენინ-სტალინის იდეოლოგიის გამარჯვების საუკუნე! (**მეუხარე ტაში**).

III. ლენინ-სტალინის პარტიას საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ მიჰყავს

საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის მიღების პერიოდში, პარტიის XVIII ყრილობის წინ, შეეიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების ადების დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ომმა დროებით შეწყვიტა ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა. ომის დამთავრების შემდეგ, თავის ისტორიულ გამოსვლაში ამორჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა დასახა კომუნისტური საზოგადოების მატერიალური საფუძვლების შექმნის გრანდიოზული პროგრამა.—„ჩვენ უნდა მივიდწიოთ იმას,—ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. ამას, ალბად, სამი ახალი ხუთწლეული დასჭირდება, თუ მეტი არა. მაგრამ ამ საქმის გაკეთება შეიძლება, და ჩვენ იგი უნდა გავაკეთოთ“. ეს პროგრამა აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმისაკენ მოძრაობის დიადი პერსპექტივით.

შრომის ფრონტზე თვითეული ჩვენი გამარჯვება, სამეურნეო და კულტურული შენებლობის თვითეული წარმატება გვაახლოებს კომუნიზმს. კომუნიზმი ახლა უკვე შორეული მომავლის საკითხი როდა. იგი იზრდება და კვლავაც გაიზრდება მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომიდან, მილიონებს — ქარხნებისა და ზატების მოწინავე სტახანოველთა, მოწინავე კოლმეურნეთა, სოციალისტური შრომის გმირთა შემოქმედებითი ღონისძიებებიდან, რომლებმაც ჩვენს მინდვრებზე მსოფლიოში უმაგალითო მოსავალი მიიღეს, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის, მეცნიერთა, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი მიღწევებიდან.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ შეგვეძლოს დაევნახოთ, გვიგიზრახოთ, მხარი დავუჭიროთ და გავუფრთხილდეთ ახალი, კომუნისტური საზოგადოების ყლორტებს. ასეთი ყლორტები დღეს უკვე ცოტა როდია ჩვენს ცხოვრებაში, და ისინი ყოველდღე მრავლდებიან და გამრავლდებიან.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სახალხო სასამართლოების არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საქმეა

მთელ საქართველოში სახალხო სასამართლოების ასარჩევად გაჩაღებულია დიდი მოსამზადებელი მუშაობა. არჩევნები შედგება 1949 წლის 6 თებერვალს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პირველად აირჩევენ სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული ქენჭისყრით.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური სასამართლო, რომელიც მშრომელი მასების წინააღმდეგ კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის იარაღი იყო „კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელში, ისტორიის არქივს ჩაბარდა საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მეფის რუსეთის მთელ სახელმწიფო აპარატთან ერთად დაანგრია ძველი ბურჟუაზიული სასამართლოც.

ლენინი საბჭოების მესამე ყრილობაზე ამბობდა:

„დაე იყვირონ, რომ ჩვენ ძველი სასამართლო კი არ გარდაქმენით, არამედ ერობაშად დაეგბრეთ. ჩვენ ამით გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს“.

„ახალი სასამართლო,—განაგრძობდა ლენინი,—უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობდნენ აღიდგინათ თავიანთი ბატონობა, ან დაეცვათ თავიანთი პრივილეგიები, ანდა ფარულად ჩაეგდოთ ხელში, მოტყუებით მიეღოთ ამ პრივილეგიების ესა თუ ის ნაწილი. მაგრამ, გარდა ამისა, სასამართლოებს... სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაც ეკისრებათ. ეს არის ამოცანა — უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უსასტიკესი განხორციელება“.

სამ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა სასამართლო განხორციელებს ლენინის ამ მითითებას, ურყევად დაამ მუშათა და გლეხთა კლასობრივი ინტერესების საგუშაგოზე და უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში, სახელმწიფო დისციპლინისა და მთელი საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა, იგი პემმარიტად ემსახურება ხალხის ინტერესებს. საბჭოთა მართლმსაჯულება ყოველგვარი ხელფაფისაგან იცავდა და იცავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას და სსრ კავშირის მოქალაქეთა პირადს უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც დაწესებულია მსოფლიოში ,ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციით.

სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს მშრომელთა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში. ქართველმა ხალხმა, აღფრთოვანებულმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეული მესამე გადამწყვეტ წელს მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით, რომლებსაც მან საქართველოს ბოლშევიკებსა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიაღწია, ანალი წელი, 1949 წელი დაიწყო მძლავრი შრომითი აღმავლობით. ჩვენს ხალხს ურყევად აქვს გადაწყვეტილი ვადამდე შეასრულოს ომისშემდგომი ხუთწლედი.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების საფუძველზე დროულად შეიქმნა 153 საარჩევნო ოლქი. არჩეულ იქნება 153 სახალხო მოსამართლე და 11.205 სახალხო მსაჯული.

შეიქმნა 3.000-მდე საარჩევნო პუნქტი, რომლებშიც დანიშნული არიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რწმენებულნი. თვითეულ საარჩევნო პუნქტში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმენებულთან შექმნილია დამოვნელი კომისია. დამთვლელ კომისიებში 27.000-ზე მეტი კაცი შედის.

დამთავრდა სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია. ყველა ისინი კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები არიან.

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებად მშრომელებმა დასახელეს ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები, რომელნიც ხალხის, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული არიან. მაგალითად, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად დასახელებულია ამხ. ს. ბ. გელაშვილი, განთლებით იურისტი, რომელსაც ათ წელზე მეტ ხანს უმსახურია იუსტიციის ორგანოებში. სსსამართლოს მიერ მისი თავმჯდომარეობით გამოტანილი განაჩენი მუდამ სამართლიანი იყო. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ ამ. გელაშვილს მადლობა გამოუცხადა კარგი მუშაობისათვის.

მახარაძის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად მშრომელებმა დაასახელეს ამხ. ნ. კ. გობრონიძე, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად დასახელებულია ამხ. ს. ნ. გაბელაია, რომელსაც იუსტიციის ორგანოებში 18 წლის უმეწილელო მუშაობის სტაჟი აქვს.

ასევე მოსამართლეებად დასახელებულია ბევრი სხვა მოწინავე ამხანაგი, რომელებმაც პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ განახორციელონ რევოლუციური კანონიერება, დაიცვან ხალხთა საკუთრება და მოქალაქეთა უფლებები, რაც მათ მოპოვებული აქვთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, და რაც მათთვის გარანტირებულია სტალინური კონსტიტუციით.

სახალხო მოსამართლეების კანდიდატთა წამოყენების დროს მშრომელებმა არ მოისურვეს დაესახელებინათ მთელი რიგი პირები, რომლებიც წინათ სახალხო მოსამართლეებად მუშაობდნენ და ამ პასუხსაგებ უბანზე ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. მაგალითად, სახალხო მოსამართლეების კანდიდატებად არ დაუსახლებიათ: ა. ს. კარტოზია, ცხაკაიის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას, ზუგდიდის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე პ. ა. გეგეშია, ჯორის რაიონის მესამე უბნის სახალხო მოსამართლე ა. გ. ჩადუნელი და სხვები.

საბჭოთა სასამართლოების მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ სახალხო მსაჯულები; ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც სახალხო სასამართლოში გასარჩევი საქმის განხილვაში, ისე სასჯელის განსაზღვრაში. ისინი საკითხის გადაწყვეტისას სახალხო მოსამართლის უფლებათა თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ამიტომ სახალხო მსაჯულთა კანდიდატებადაც რესპუბლიკის მშრომელებმა დაასახელეს ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ განახორციელონ რევოლუციური კანონიერება, დაიცვან სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები, და მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის სამოქალაქო უფლებანი. მაგალითად, სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებულნი არიან:

ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონში 18 წლის სტაჟის მქონე მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, უპარტიო ამხ. ლ. ვ. მელქაძე, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის სტახანოველი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი ამხ. ვ. ი. ქვათამაძე; ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონში—დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტახანოველი, უპარტიო ამხ. ვ. ი. კინწურაიშვილი, ქალთა 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, კომკავშირელი ამხ. ე. ი. კიტაევა; ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის ასისტენტი, უპარტიო ამხ. ა. ნ. ღვამიჩავა.

სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრმა სახალხო მსაჯულის კანდიდატად დაასახელეს კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველი ქალი ამხ. შ. დარსანია.

ქალაქ ქუთაისში სახალხო მსაჯულის კანდიდატად დასახელებულია რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ტუბერკულოზსნერის ექიმერტორი, უპარტიო ამხ. დ. ა. ჩიქელაშვილი.

რუსთავის მეტალურგშენის კოლექტივის კრებამ სახალხო მსაჯულის კანდიდატად დაასახელა ექსკავატორის მემანქანე სტახანოველი ამხ. გ. ნ. კოკოევი, რომელმაც 1948 წელს შეასრულა ხუთი წლის ნორმა. სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებულია აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სხვა მოწინავე ადამიანი.

სახალხო მოსამართლის კანდიდატებად დასახელებულთა შორის 34 ქალია, ანუ 22,2 პროცენტი, სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებულთა შორის—3.886 ქალი ანუ 35 პროცენტი. უპარტიოა 4.472 კაცი ანუ 40 პროცენტი.

ახლა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გააცნონ ამორჩეველთ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების ბიოგრაფია და მათი სამსახურებრივი და საზოგადო მოღვაწეობა.

რამდენიმე ათეული ათასი აგიტატორი განეკუთვნება მოსახლეობას საბჭოთა სახალხო სასამართლოს როლს სოციალისტური წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და კანონიერების დაცვის საქმეში. სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების ამ პერიოდში უფრო უნდა გაძლიერდეს საგიტაციო-საპრაგანდო მუშაობა. მასობრივმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ უნდა აამაღლოს მუშების, კოლმეურნეებისა და მთელი მოსახლეობის შეგნებულობა, უფრო დარაზმოს ისინი სოციალისტური წყობილების, საზოგადო საკუთრების, მოქალაქეთა პირადი ქონებისა და უფლებების დასაცავად, გააძლიეროს მშრომელთა სიფხიზლე სახელმწიფო დოკუმთის დასაცავად და გაუფრთხილოს მათ საბჭოთა კანონისადმი პატივისცემის გრძნობა.

ყველა ოლქში უკვე შედგენილია და საარჩევნო პუნქტებში გამოკრულია ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გასაცნობად. საჭიროა ყველგან შეიმოწმდეს და დაზუსტდეს ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილების ჩამოვლის გზით და სიებში შეტანილ იქნას სათანადო შესწორება, ცვლილება და დამატება. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომთა რწმენებულები მოგალე არიან სისტემატურად აღრიცხონ ის პირნი, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ ამომრჩეველთა სიების შედგენის შემდეგ და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა დამატებით სიებში საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესაბამისად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან ანლაევ მოაწყონ საარჩევნო პუნქტები, უზრუნველყონ მათი გათბობა და განათება და ამით საჭირო პირობები შეუქმნან ამომრჩეველთ. დროულად უნდა იქნას აგრეთვე მიღებული ზომები ფარული ქენჭისყრისათვის კაბინების მოსაწყობად და მთელი საარჩევნო ინვენტარის წესრიგზი მოსაყანად. სახალხო სასამართლოებს არჩევნების მთელ მოსამზადებელ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საბჭოების არჩევნებში შეძენილი უდიდესი გამოცდილება.

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების დამთავრებულ ეტაპს წარმოადგენს არჩევნების შედეგთა გამორკვევა. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის რწმენებულნი ამოსაკრეფენ ბულეტენებს ოსე უნდა მოაწყოს საქმე, რომ სწრაფად დამთავრდეს ხმების დათვლა და კენჭისყრის ოქმი დროულად გაგზავნოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო ამ უკანასკნელმა საარჩევნო ოლქში ხმების დათვლის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს საქართ ამასალი ზემდგომ საოლქო საარჩევნო ორგანოებს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმენებულის სამმართველოს მოვალეობაა ისე მოაწყოს მუშაობა სახალხო სასამართლოების არჩევნების პერიოდში, რომ მთელი საარჩევნო კორესპონდენცია ფოსტითა და ტელეგრაფით დროულად გადაიცეს და მიტანილ იქნას დანიშნულებისამებრ.

ოესტიციისა და პროკურატურის ორგანოებმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული სურვილები განეხილოთ და ეფუძნებიან ეს ინფორმაციები საბჭოთა სამართალ-წარმოებას და მნიშვნელოვნად გაუუჯობესებს სასამართლო ორგანოების მუშაობას.

ხალხის მიერ არჩეული საბჭოთა მოსამართლეები გაამართლებენ მშრომელთა ფართო მასების ნდობას და ფხიზლად იქნებიან სოციალისტური კანონიერების საგუშაგოზე, წმიდად დაიცავენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს და მშრომელთა უფლებებს.

სახალხო სასამართლოების არჩევნები მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ახალი ზეიმი იქნება, ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას მოუტანს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევ სტალინურ ბლოკს. ამ გამარჯვების საწინდარია საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ნდობა ბოლშევიკების პარტიისადმი, უდიდესი სიყვარული და ერთგულება ბრძენი ბელადის, მამისა და მასწავლებლისადმი — დიდი სტალინისადმი.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

ამხ. ჰ. ნ. პოსკელოვის მოხსენება 1949 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXV წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე მოსკოვში

(დასასრული)

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი შესანიშნავი წამოწყება, როგორიცაა მოძრაობა საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაციისათვის. ლენინი ამბობდა, რომ „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ამყამად ძოწინავე კოლმეურნეობები იმის ნათელ მაგალითს იძლევიან, თუ როგორ საეცხოოდ გარდაქმნა სოფლის ცხოვრება ელექტრონის ძალმეცობით, როგორ იზრდება კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება და შემეტებლობა, მკვეთრად მაღლდება ცხოვრების კულტურული დონე, თანდათან ისახება კომუნისტური მომავლის ნაკვეთები. აკ პრაქტიკულად ხდება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა.

ამხანაგი სტალინი სტახანოვური მოძრაობის შესახებ ამბობდა, როცა იგი მხოლოდ ისახებოდა, რომ „მისი მნიშვნელობა კიდევ ის არის, რომ იგი ამზადებს პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად“. სტახანოვური მოძრაობის გიგანტური მასშტაბი, ნოვატორთა წარმატებანი, რომლებმაც შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას მიაღწიეს, ცხადყოფენ, თუ როგორ ისპობა წინააღმდეგობა გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის.

ჩვენი ხალხის პატრიოტული შრომითი აღმავლობის გამოხატულებაა მშრომელთა წერილები ამხანაგ სტალინისადმი, რომლებითაც ისინი ანგარიშს აბარებენ თავიანთ წარმატებათა შესახებ, კისრულობენ ვალდებულებებს პარტიისა და მთავრობის წინაშე იმუშაონ უკეთ, უფრო ნაყოფიერად. საყვარელი ბელადისა და მასწავლებლისადმი გგზავნილ ამ წერილებსა და მიმართვებში გამოხატულია კომუნიზმის მილიონნობით მშენებელთა გმირული ყოველდღიური შრომა, მათი შემართებანი და გეგმები, რასაც ისინი დიდი ისტორიული საქმისათვის აკეთებენ.

ჩვენს მოძრაობაში კომუნიზმისაკენ განსაკუთრებით დიდია ისეთი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი, როგორიც არიან პროფკავშირები და კომკავშირი, რომლებიც მილიონებს აბამენ კომუნიზმის აქტიურ მშენებლობაში.

კომუნიზმისაკენ ჩვენი სამშობლოს შემდგომი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა ამკამად ხალხის კომუნისტური აღზრდის გაძლიერება. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ადამიანთა შეგნება ჩამორჩება მათს ეკონომიურ მდგომარეობას, რომ ამიტომ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში საკმაოდ ცოცხალნი არიან და მათ წინააღმდეგ საჭიროა დაუღალავი ბრძოლა.

ბოლშევიკური პარტია გადამწყვეტ შეტევას აწარმოებს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ამაღლებს მუშაობის იდეური დონეს კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, წარმართავს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სახის განვითარებას ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმისაკენ. პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს საბჭოთა მეცნიერების განვითარებას, იბრძვის პარტიულობისათვის მეცნიერებაში, მატერიალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული მოწინავე მეცნიერების გამარჯვებისათვის. დისკუსიამ ბიოლოგიის საკითხებზე ცხადყო ამ ბრძოლის მნიშვნელობა ქმედითი, მოწინავე მეცნიერების განვითარებისათვის, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, აქტიურად ეხმარება ხალხს კომუნიზმის აშენებაში.

ლენინიზმი მთელი ჩვენი აღმშრდელობითი მუშაობის საფუძველია. პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ მუშაობა ლენინიზმის იდეებზე მშრომელთა აღსაზრდელად. ლენინურ-სტალინური მოძღვრების დაუფლება საარსებო და სასიცოცხლო საჭიროებაა კომუნისტური საზოგადოების მშენებელთათვის, განსაკუთრებით პარტიული და საბჭოთა კადრებისათვის, მთელი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციისათვის.

ჩვენ გვაქვს საჭირო პირობები მარქსიტულ-ლენინური მეცნიერების წარმატებით შესწავლისათვის. გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სამი გამოცემა, წელს დამთავრდება მეოთხე გამოცემა. საბჭოთა კავშირში მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწარმოებნი გამოცემულია 754 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით.

უდიდესი იდეური მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველ გამოცემას. ამხანაგ სტალინის ნაწარმოები ლენინიზმის დასაბუთებულია და შემოქმედებითი განვითარებაა, ჩვენს კვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილების თეორიული განზოგადებაა.

დიდი ლენინი ასწავლიდა პარტიასა და ხალხს—არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, არ იყოყოჩონ, არამედ გაჩამტკიცონ წარმატებანი და დაუღალავად გასწორონ ახალი მიღწევებისაკენ. პარტია აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავს და მას ატარებს იმ ნიშნით, რომ შემდგომ დარაზმოს მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ომისშემდგომი ხუთწლედის და 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შინარეზერვების მობილიზაციისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

• • •

ამხანაგებო! მთელ ჩვენს წარმატებებს ვუმადლით ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობას, ლენინიზმისადმი ერთგულებას.

25 წლის მანძილზე ლენინი და სტალინი ერთად აშენებდნენ დიად ბოლშევიკურ პარტიას, აწრთობდნენ, ზრდიდნენ მის კადრებს, რომლებმაც დაამხეს იმპერიალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

25 წლის განმავლობაში ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგ სტალინს მიჰყავს პარტია ლენინის გზით, ზრდის კომუნიზმის მშენებელთა კადრებს. კომუნისტების პარტია, დიდი პროლეტარული სტრატეგების ლენინისა და სტალინის უშიშარი არმია, აჩვამად ძლიერი, ერთიანი და დარაზმული ისე, როგორც არასოდეს, სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით, ღრმა სიყვარულით ჩვენს ხალხში და მთელი მსოფლიოს მშრომელებში.

უკვდავ ლენინს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, დღეს რომ შეეძლოს დაინახოს მძლავრი ექვსმილიონიანი არმია კომუნისტებისა, რომელიც ურიცხვი მტრების დამარცხებისა და უმაგალითო სიძნელეების დაძლევის შემდეგ აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს და მიჰყავს იგი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, — იტყოდა: კომუნიზმის საქმე სიიმედო ხელშია, კომუნიზმის საქმე უძლეველია! **(ხანგრძლივი ტაში).**

ლენინის საქმე უძლეველია, ვინაიდან ამ განაგრძობს ამხანაგი სტალინი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და საყვარელი მასწავლებელი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ლენინიზმის დიად და უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს კომუნიზმს! **(ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ვ. ი. ლენინის საფლავი გვირგვინებით შეამკეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა სახელით

მრავალი ათასი მშრომელი იყო გუშინ წითელ მოედანზე ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, რათა პატივი ეცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისათვის.

მავზოლეუმში გუშინ აგრეთვე სრული შემადგენლობით იყვნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის საელჩოები. თავიანთ მთავრობათა სახელით მათ ვ. ი. ლენინს საფლავი შეამკეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით.

საფლავი გვირგვინებით შეამკეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის, პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტ ბოლესლავ ბერუტის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის სახელით. (საკდესი)

რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი

(„სისხლიანი კვირის“ 44 წლისთავი)

1905 წლის 9 (22) იანვრის ამბებით დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. ეს იყო რუსეთის მეშათა კლასის გმირული გამოსვლა ძირმოპპალი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუცია მოამზადა პროლეტარული, გლეხური და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელმა მსვლელობამ, რომელსაც მის წინა პერიოდში ჰქონდა ადგილი. რევოლუციის წინ რუსეთისა და მისი განაპირა ქვეყნების მეშათა კლასს უკვე ჰყავდა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ახალი ტიპის პარტია—ბოლშევიკების პარტია. პარტიის ხელმძღვანელობით მეშათა და გლეხთა მასები გამოვიდნენ წინ ბრძოლაში—ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ და მთელ მსოფლიოა უჩვენეს თავისი ძლეველი ძალა.

რევოლუციას წინ უსწრებდა 1900-1903 წლების ეკონომიური კრიზისი, ხოლო შემდეგ, როგორც კრიზისადან იმპერიალისტური ომისადან—ომი იმპერიალისტურ იაპონიასთან, რომელიც უკვე მოამზადებდა რევოლუციური კრიზისის პირობებში დაიწყო.

როგორც სამრეწველო კრიზისი, ისე განსაკუთრებით ომი იმპერიალისტურ იაპონიასთან მძიმე ტვირთად დააწვა რუსეთის მეშათა კლასსა და გლეხობას. ისინი მათ რევოლუციური მოძრაობისაკენ უბიძგებდა. რუსეთ-იაპონის ომმა ფარდა ახადა თვითმპყრობელობის სიდამპლეს, ამასთანავე, მან ნათელყო პროლეტარიატსა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის უდიდესი ძალა, წერილში „პორტ-არტურის დაცემა“, ლენინი მოუთითებდა, რომ ცარიზმის დამარცხებამ მოაახლოა „ახალი დიდი ომის მოქმედი, ხალხის ომი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ბრძოლა თავისუფლებისათვის“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. 8, გვ. 37).

მართლაც, 1904 წლის ზაფხულიდან მეორე რუსეთში იგრძნობოდა რევოლუციური მოძრაობის სწრაფი ზრდა. ამ წლის 13-დან 31 დეკემბრამდე ჩატარდა ბაკოს მეშათა გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც დამთავრდა რუსეთის მეშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით ნაკთის მრეწველებსა და მეშებს შორის. ბაკოს გაფიცვამ დაასაწყისი მისცა ამიერკავკასიასა და რუსეთის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში რევოლუციურ ალმაფრთის, იგი გახდა „მთელ რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვან გამოსვლათა სიგნალი“ (სტალინი). ბაკოს მაგალითის მიხედვით 1905 წლის იანვარში მოხდა პეტერბურგის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლა.

1905 წლის 9 იანვრის დილათ მრავალი თეული ათასი პეტერბურგელი მეშა ხატებით, ჯვრებითა და პეტიციებით მიდიოდა მეფესთან „სამართლის“ სამიებლად, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ პეტერბურგის მეშათა სისხლით მორწყულ ქუჩებში დაიბადა პროლეტარული ლოზუნგები: „სიკვდილი ან თავისუფლება“, „ძირს თვითმპყრობელობა“, „ძირს სისხლისმაქცი მეფე“. ეს ლოზუნგები მალე რუსეთის მთელ ხალხს მოედო. პეტერბურგის მეშათა დახვრეტით ცარიზმმა ერთი ხელის მოსმით მოაპო ხალხის რწმენა მეფისადმი, რასაც სხვა პარობებში დასტურდებოდა ათეულ წლობით ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

1905 წლის 9 იანვრის ამბებით, რაც ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელით შევიდა, იწყება რუსეთის პირველი რევოლუცია.

• • •

9 იანვრის სისხლისღვრის უშუალო საბაბი გახდა პუტილოველ ქარხნის ადმინისტრაციის მიერ ოთხი ძველი მეშის უმიზეზოდ დათხოვნა, რაც მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის საპასუხოდ მეშებმა ორგანიზებული გამოსვლა მოაწყეს, მოითხოვეს დათხოვნილი მეშების სამუშაოზე აღდგენა, აგრეთვე რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის გადიდება და სხვ. პუტილოველ მეშათა უკმაყოფილებას მეზობელი საწარმოებიც გამოეზმაურნენ. 7 იანვრისათვის გაფიცულ მეშათა რიცხვმა 140 ათასს მიაღწია, გაფიცვა მოედო მთელ პეტერბურგს.

მეშათა დარაზმულობამ შეაშინა მეფის მთავრობა, მან გადაწყვიტა ბინძური და საზიზღარი პროვოკაციის გზით სისხლის მორეგვნა ჩაეხშო მეშათა მოძრაობა. ჯერ კიდევ გაფიცვამდე პროვოკატორ ვაპონის დაჰბრაბეთ მეფის პოლიციამ მეშებს შორის შექმნა თავისი ორგანიზაცია—„რუსი საფბრიკო-საქარხნო მეშების კრება“, რომელსაც თავისი განყოფილებები ჰქონდა პეტერბურგის ყველა რაიონში. როდესაც გაფიცვა დაიწყო, ვაპონმა თავის საზოგადოებათა კრებებზე წამოაყენა პროვოკატორული გეგმა—9 იანვარს მეშები შეეგებილიყვნენ და საეკლესიო ბაირაღებით და მეფის პორტრეტებით წასულიყვნენ ზამთრის სასახლისაკენ. მეფისადმე მიმავალ ხალხს თან მიჰქონდა პეტიცია, რომლითაც ისინი „მეფე მამას“ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების სთხოვდნენ. ბოლშევიკები არწმუნებდნენ მასებს, რომ ფუჭი იყო მეფესთან წასვლა, რომ თვითმპყრობელობა მათთვის, გარდა ტყვეისა, არაფერს გამიმტებდა, რომ მხოლოდ არსებული წყობილების დანგრევე ეზრი შეიძლებოდა მეშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ხალხში ჯერ კიდევ იყო რწმენა მეფისადმი. ბევრს სჯეროდა, რომ მეფე დაიკმაყოფილებდა მათს მოთხოვნილებას.

9 (22) იანვარს დილით მშრომელთა უზარმაზარი პროცესია—მეშები, მათი ცოლები, ბავშვები, მოხუცები—გიგანტთა მეფის სასახლისაკენ. მოულოდნელად დემონსტრანტებს სროლა ატეხეს მეფის ცანდარმერიამ ნარვის კართან, ბოლშევიკ დერიანაკიას ქუჩაზე, შლისელბურგის გზატკეცილზე, ხოლო ალექსანდრეს ბაღთან და სასახლის მოედანზე, სადაც თავი მოიყარა ყველაზე მეტმა მეშამ, ხალხს თავს დაესხნენ თავით ფეხამდე შეიარაღებულ ცაზაკთა პოლკები და ცავალერია. „ეს იყო უმწეო და მშვიდობიანი ხალხის მასები ყველაზე საზიზღარი, ბოროტი მკვლელობა“ (ლენინი). ამ დღეს მეფის ჯარებმა მოკლეს ათასზე მეტი და დაჭრეს 2 ათასზე მეტი მეშა. ამ ეამიდან მოენტაში ბოლშევიკები ბზარნი ედგნენ მეშებს, „ბოლშევიკები იქვე, მეშების სისხლით მორწყულ ქუჩებში, განეშარტაგდნენ მეშებს, თუ ვინ არის დამნაშავე ამ საშინელ ბორბატმქმედებაში და როგორ უნდა მასთან ბრძოლა“ (საკადშირო კ. კ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 35).

ცარიზმის მიერ მოწყობილი ზოცეა-ელეტის სასასუხოდ მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის ტალღა მოედო მთელ რუსეთს და პირველ რიგში ისეთ სამრეწველო ცენტრებს, როგორიც იყო პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, რიგა, ლოძი, ვილნო, ოდესა, ხარკოვი, ბაკო, თბილისი და სხვ. 1905 წლის მარტო იანვარში გაიფიცა 440 ათასზე მეტი კაცი—ებაზე მეტი, რაც წინა ათი წლის ჯამიანია. მეშათა რევოლუციურმა ბრძოლამ გარკვეულად მიიღო პოლიტიკური ხასიათი, მილიონობით მეშები ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით ცარიზმის წინააღმდეგ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებნენ.

• • •

პეტერბურგის მეშათა დახვრეტის ამბავმა ამიერკავკასიამდე 11-12 იანვარს მოაღწია. ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებს ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით მიღებული ქონდათ გადაწყვეტილება 1905 წლის 13 იანვრისათვის საქართველოს მთავარ სამრეწველო ცენტრებში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობის შესახებ. ამისათვის გაეხარჯენი სამზადისი მიმდინარეობდა, მაგრამ პეტერბურგიდან მიეღებელა ცნობამ დაიჩქარა გაფიცვა. პეტერბურგელი მეშებისადმი სოლიდარობის ნიშნად 14 იანვარს დაიწყო თბილისის მეშათა დიდი გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რკინიგზის სახელოსნოების, სტამბების, ტრამვაის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მეშა-მოსამსახურეებმა. 18 იანვარს ეს გაფიცვა კიდევ უფრო გაფართოვდა. იგი მოედო ბათუმს, ჭიათურას, ტყვთისს, სამტრედიას და სხვა ქალაქებს.

საქართველოს გლეხობა აქტიურად უჭერდა მხარს მეშებს ბრძოლაში. თებერვალში — მარტს, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, თბილისის და თელავის მაზრებში მოხდა გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი.

ამიერკავკასიის მეშები და გლეხები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, გაჩაღებული სახალხო რევოლუციის პირველ რიგებში იყვნენ.

1905 წლის იანვრის დღეები წარმოადგენდნენ იმპერიალიზმის ეპოქის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისს, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით. რუსეთის პირველი რევოლუციის დიად ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა ჭკნდათ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. ლენინის გამოთქმით, ისანი წარმოადგენდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის „გენერალურ რეპეტიციას“.

ბ. სიხარულიძე

ჩეხოსლოვაკია აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავს

პრაღა, 20 იანვარი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის ყველა ქალაქსა და სოფელში ეწყობა ლექციები და მოხსენებანი ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის დიად, უძლეველ მოძღვრებაზე. პრაღაში, ბრატისლავაში, ბრნოში, კოშიცესა და ჩეხოსლოვაკიის ყველა სხვა დიდ და მცირე ქალაქში ამართება მშრომელთა კრებები, მიძღვნილნი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი. მაღალზეა ცოტრინებში, კლუბებში, სკოლებში, კომპარტიის ორგანიზაციების შენობებში, ფაბრიკა-ქარხნების საამქრებში დაფიენილია ვ. ი. ლენინისა და მისი ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის პორტრეტები. ყველა გაზეთი და ჟურნალი ათავსებს სტატიებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის მისი ბრძოლის შესახებ.

სტალინი და ბოლშევიკური პარტია, წერს გაზეთი „რუდე პრავო“, ლენინის ანდერძის ერთგული შემსრულებლები არიან. საბჭოთა კავშირი, რომელმაც ომში დაამარცხა ფაშიზმი და მონოხისაგან გაათავისუფლა მთელი რიგი ხალხები, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საიმედო დასაყრდენი და დამცველია. საბჭოთა არმიამ, რომელმაც ბევრი ქვეყნის ხალხები გათავისუფლა, ამ ქვეყნების მშრომელთ შესაძლებლობა მისცა თავიანთი ხელში აეღოთ ძალაუფლება და შეეგმნათ სახალხო დემოკრატია, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი საფეხური.

შეღგენილია ათონის ახალი მთავრობა

ათონი, 20 იანვარი. (საკდესი). სოფულიმა შეადგინა ახალი მთავრობა, რომელშიც შევიდნენ: სოფულისა—პრემიერ-მინისტრი; ალექსანდროს დიომიდისა—ვიცე-პრემიერი; ცალდარისა—საგარეო საქმეთა მინისტრი; სპიროს მარკეზინისა—უპორტფელო მინისტრი; ევენზელისა—უპორტფელო მინისტრი; კანელოპულოსი—სამხედრო მინისტრი; გერასიმოს ვასილიადისა—სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი; სტეფანოს სტეფანოპულოსი—მინისტრი „ეროვნის აღდგენის გეგმის“ განხორციელების დარგში (ყოფილი ეკონომიური კოორდინაციის სამინისტრო); ზაიმისი—შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვ.

განაჩენი რუმინელ სამხედრო დანაშაულეთა ჯგუფის საქმეზე

ბუქარესტი, 20 იანვარი. (საკდესი). იღფოვის მაზრის ტრიბუნალმა გუშინ გამოიტანა განაჩენი სამხედრო დანაშაულთა—ანტონესკუს მთავრობის ყოფილი მინისტრებისა და მაღალი თანამდებობის მოხელეების ჯგუფის საქმეზე.

ყოფილ გენერლებს მიესაჯათ: იაკობიჩს—8 წლის პატიმრობა, როსეტის—2 წლისა, პოტოპიანუს—5 წლისა, სამეფო კარის ყოფილ მარშალს ნეჯელს, ყოფილ მინისტრებს კრეციანუს, პინასსა და პეტროფიჩს—10 წლის პატიმრობა თვითეულს, ყოფილ ადმირალებს კის�sელსს—2 წლისა და ჰამპს—3 წლის პატიმრობა, ყოფილ მინისტრებს დოკას, ნამოიანუს, გიეტულესუსა და კონსტანტინესკუს—3 წლისა თვითეულს, ნიაკუს—8 წლისა და კონსტანტს—4 წლის პატიმრობა.

24 იანვარს, სალამოს 8 საათზე, რაიკომის ახლომის დარბაზში მოწვეულია საქართველოს ქ. ჰ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომკავშირის რაიკომის მოკრძალ II კლენუმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 22-I დღისით—„ეგეგი ოტელო“,—საღამოს „ოტელო“ (4 აბ. 7 წარმ.), 23-I დღისით—„კაკო ყაჩაღი“, საღამოს—„ნინალე“ (7 აბ. 7 წარმ. ჭაბუკიანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის — 22-I „სადგურის უფროსი“ (4 სერ. 5 წარმ.), 23-I დღისით—„სადგურის უფროსი“, საღამოს—„მეფე ლირი“ (5 სერ. 5 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—22-I დღისით—„1917 წელი“, საღამოს — „1917 წელი“ (1 სერ. 5 წარმ.), 23-I დღისით — „გულსუნდა“, საღამოს—„გამახარე“ (8 სერ. 5 წარმ.);

მ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 22-I „ნათელა“ (ა.ბ. გარეშე), 23-I დღისით — „შუფ მუჩანი“, საღამოს — „ხილვა“ (18 ა.ბ. 6 წარმ.);

მე-5 შესასვლელი გადაიდგა ყველა ა.ბონენტისათვის! სავალდებულოა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი
22, 23 და 24 იანვარს
რუსული დამსახურებული არტისტის
კიოს
და მისი
75 ასისტენტის
გამოსათხოვარი გასტროლები და განახლებული დიდი საცირკო პროგრამა
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
კვირას, 23 იანვარს,
სამი წარმოდგენა
I წარმოდგენის დასაწყისი დღის 12 ს.,
II წარმოდგენისა—დღის 3 ს. და
III წარმოდგენისა—საღამოს 8 ს. და 30 წ.
ბილეთები იყიდება სალაროებში: სადელმწიფო ცირკის კიბის ასავალთან, რუსთაველის პროსპექტზე — მაღაზია „წყლები“. სახლი № 1 და ალეგანოვის პროსპექტზე — მაღაზია № 3, სახლი № 97.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა საყურადღებოდ
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელნო!

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მოგება, რომელიც თქვენს ობლიგაციას ხვდა, ისე, რომ არ დაზარალდეთ შრომა და დრო ობლიგაციების შესამოწმებლად მოგების ტირაჟთა ცხრილების მიხედვით.

ამისათვის საკმაოა მხოლოდ შეიძინოთ ერთ-ერთი შემნახველ სალაროში მოგებათა შემოწმების ბიულეტენი ნარჩენთან, შეიტანოთ ეს ბარათები, უჩვენოთ მათში სესხის სახელწოდება, ობლიგაციების სერია და თქვენი მისამართი და გადაგზავნილ ან ნაბარათი საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველოსთან არსებულ მოგებათა შემოწმების ბიუროს (ქ. თბილისი, კეცხოველის ქ. № 7).

თვითეულ ობლიგაციაზე შეიცავება ერთი ბარათი.

ბიუროში შემოსული ბარათები შემოწმებული იქნება მოგებათა ყველა წინა ტირაჟის მიხედვით.

თუ თქვენს ობლიგაციას ხვდა მოგება, ბიურო დაგიბარებენ ბარათს და გაცნობებთ მოგების შესახებ. მოგების ძისაებრ ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, უნდა წარუდგინოთ შემნახველ სალაროს.

მოქალაქენო! დაზოგეთ თქვენი დრო და შრომა!
ისარგებლეთ მოგებათა შემოწმების ბიუროს მომსახურებით!
საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კანანაძეს მისი დის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი ივანეს-ძე კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ე. მაყაშვილი, ნ. აბაშიძე, მ. საყვარელიძე, ი. გიორგაძე, ზ. გოგოლაძე, ფ. ხაბურნანია, ნ. სარიმელაძე, ე. მანაგაძე, ი. აბაშიძე, თ. ბაბტაძე ეუწყებიან თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

არეთა ჩხეიძე შეილებით ქეთო, ბეეან და მალალოთი ეუწყება თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

ლენა და მაკარ ჯაბაში თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ნინო და რაფო კეკრკელიები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

მირონ ჩეტბანიძე მეუღლით თამარით და შვილებით თანაგრძნობას უცხადებს გიორგი კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

მ. ი. ბუბუსელაძე, თ. მ. ბირკაძე, გ. ნ. აბრამიშვილი, გ. გ. ავეტისოვი, ი. ფ. ორთმელაძე, დ. ი. ბაქრაძე, ნ. ს. ბაიდაშვილი, მ. დ. ბუჯიაშვილი, შ. ს. გაგოშიძე, ბ. კ. კოპანიძე, შ. კ. კუტუბიძე, ბ. ვ. ლომბერაძე, ი. ს. მარკანიშვილი, ა. ა. მინაკაძე, ა. ს. ნუფენაკოვი, კ. გ. სოხაძე, ნ. კ. სუხიაშვილი, ი. ს. ფრანგულიანი, ლ. ო. ჩიბლაძე, ი. ი ბოხორეული, შ. ვ. ეგნატაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ესმა და ირეზმა კაპანაძეები, თინა და პროკოფი რატიანები, თამარ და კაკო თავიდაშვილები ოჯახებით ეუწყებიან თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

ა. ასლანაკოშვილი, ი. ტაბაღუა და ო. გიგენიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ თეოდორის ასულ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ამბანაგები თ. ჯაჯიშვილი, შ. ითსავა, ნ. თოფურიძე, ნ. შერიხოა, თ. ბირკაძე ეუწყებიან ოჯახებით ეუწყებიან თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

ანიკო და გიორგი თავზიშვილები ეუწყებიან მეგობრის თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

რუზანა და ვალერიან ხატაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გ. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარის გარდაცვალების გამო.

ნიკო, ბაგრატი, გიორგი და თამარ კიკნაძეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ალისა და ასიდორე დოლიძეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

ბიძა ვსეგეოლოდ კაპანაძე მეუღლით ანათი, შვილებით: ლარა, ნათელა და გიორგიმი, სიძით ვიქტორ ჯიურაშვილით, მამაი გელენა შვილებით ეუწყებიან თამარ კიკნაძის გარდაცვალებას.

ნ. კეკენოველი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გ. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

შ. რუხაძე, ვ. ჩიტიშვილი, დ. ჩომახიძე, ვ. თანიანშვილი, ს. თერმანიძე, კ. ფანეფლეანი, კ. ლოლაძე, ბ. თავართქილაძე, ვ. ბოკორიშვილი, მ. ჩიტიკაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი მეუღლის თამარის გარდაცვალების გამო.

დ. ბანია შეილებით: თამარ, ნატა და შალვა ბერთოიკაშვილები, სიძეები გიორგი ჯიღუარი და ტერენტი კაკუშაძე ეუწყებიან ეგა ყარამანის ასულ ბალაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდა 22-I, 7 ს. გამოსვენება 23-I, 2 ს. მელიქიშვილის, 20.

შეეღლე მარიამ, შვილები დიმიტრი, გიორგი, რძლები ლუბა და მარგო ჭანკოტაძეები, სიძეა და ელენე ოჯახებით ეუწყებიან, რომ 23-I, 3